პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 230 (6285)

1978 წ. 25 ნოემბერი. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მათი „იმედის სტარტები"

ხაშურის [illegible] მკვიდრდება [illegible] ყოველწლიური „იმედის" [illegible] მელოსნობაში რაიონის მოსწავლეთა მონაწილეობით. აქ ცალ-ცალკე იწყობენ მორბენლის, მტყორცნელისა და მხტომელის დღეებს, რაც შეჯიბრებას უფრო მასობრივსა და ორგანიზებულს ხდის. ასპარეზობებში რვაწლიანი და საშუალო

(დასასრული მე-2 გვ.)

• • •

სურათზე: მასობრივი კროსის სტარტზე.

## ოფიციალური ცნობები

● 22-23 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

თათბირზე მიღებულ იქნა დეკლარაცია.

● 23 ნოემბერს კრემლში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა დიმიტროვის პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს ეს მაღალი ჯილდო მიენიჭა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის მხარდასაჭერად საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

● 23 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქში სტუმრად ჩამოვიდა სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პოდპოლკოვნიკი მენგისტუ ჰაილე მარიამი. საპატიო სტუმარს გულითადად მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე.

საპატიო სტუმარს დახვდნენ თ. ნ. მენთეშაშვილი, ვ. მ. სირაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჰითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.



## მთელი 56 ქულით!

ვიტყობინებოდით, რომ ორჯონიკიძის მანეჟში გამართულ სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების მშვილდოსანთა შეჯიბრებაში ორი დღის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი და ამ გუნდის წევრი ქ. ლოსაბერიძე დაწინაურდნენ.

გუშინ რედაქციას ეწვია თბილისის უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელი ვ. დავითაშვილი, რომელმაც შემდეგი გვიამბო:

— „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს საკლუბო გუნდების თასის გათამაშებაში მონაწილე 24 გუნდი ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. პირველში ხუთი კოლექტივი ასპარეზობდა, თითეულს ყველა ასაკის წარმომადგენლებით დაკომ-

### მშვილდოსნობა

პლექტებული 12-კაციანი ნაკრები გამოჰყავდა. მეორე ჯგუფში მებრძოლი 19 გუნდი 4-4 სპორტსმენისგან შედგებოდა, ოღონდ აქ მარტო მოზრდილები ასპარეზობდნენ.

ჩვენმა ნაკრებმა ასპარეზობა (ქ. ლოსაბერიძე, გ. რიჟამაძე, ა. ბაქრაძე, ვ. ნაცვლიშვილი) თავიდანვე კარგად დაიწყო და საბოლოოდ მ-2 ვარჯიშის ჯამში 3 სპორტსმენის მაჩვენებლით (ჩათვლაში სამი საუკეთესო შედეგი შედიოდა) 7328 ქულა მოაგროვა. მან საგრძნობლად ჩამოიტოვა ყველა მეტოქე. **უნივერსიტეტის გუნდმა მთავარი პრიზი მოიპოვა, ამასთან უფლება მიიღო მომავალი წლიდან პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის იასპარეზოს.** ეს კი სპორტკლუბისგან მეტს მოითხოვს: აუცილებელია შეიქმნას ბავშვთა და იუნიორთა ჯგუფები. ამაზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ფიზაღზრდის კათედრა და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო ახლავე უნდა დაფიქრდნენ..

...ამ ჯგუფში კარგად გამოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრებიც, რომელმაც საერთო II ადგილი დაიკავა. (7049 ქულა) და **ისიც I ჯგუფში გადავიდა.**

ძალზე საინტერესო იყო პირადი ტურნირი. ქალთა შეჯიბრებაში პირველივე დღეს 30 მეტრიდან ასპარეზობაში უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ქ. ლოსაბერიძემ 360 შესაძლებლიდან 353 ქულა მოაგროვა: მისი 29 ისარი სამიზნის ცენტრში ჩაერჭო, ხოლო 7 — ცხრიანში. ასეთი შედეგი მსოფლიოში დღემდე არც ერთ მშვილდოსანს (მათ შორის ვაჟებშიც) არ ჰქონია. ალბათ ამიტომ იყო, რომ უკანასკნელი ისრის გასროლისთანავე შეჯიბრების მონაწილენი, მწვრთნელები, მსაჯები ქეთევანს შემოეხვივნენ და ფენომენალური მაჩვენებლისთვის ხელში ატაცებული გაიყვანეს სარბიელიდან.

ქეთევანის ეს წარმატება შემთხვევითი რომ არ იყო მან ამ ვარჯიშის განმეორებით შესრულების დროსაც დაამტკიცა, ოღონდ ამჯერად 342 ქულა მოაგროვა. ხოლო მ-2 ვარჯიშის ჯამში 695 ქულას მოუყარა თავი, რაც ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს 17 ქულით (!) აღემატება.

**ლოსაბერიძემ 50 მეტრიდან ვარჯიშის ორჯერად შესრულებით 637 ქულა (317+320) მოაგროვა. 60 მეტრიდან — 656 (330+326), ხოლო 70 მეტრზე 639 (324+315) ქულა აჩვენა. საბოლოოდ მისი ნადავლი 2627 ქულა მსოფლიო რეკორდს იმდენად (56 ქულით) აღემატება, რომ აქამდე სპეციალისტებს ამ ციფრის წარმოდგენაც არ შეეძლო...**

გ. რიჟამაძემ საბოლოოდ 2455 ქულა მოაგროვა და IV ადგილი დაიკავა. ასეთი შედეგი ამ სტუდენტს კარგა ხანია არ ჰქონია და იმედს გვაძლევს, რომ ხალხთა სპარტაკიადის მზადებისათვის მაჩვენებლებს კიდევ უფრო გაზრდის. ვაჟთა შეჯიბრებაში ბაქრაძე IX ადგილზე გავიდა — 2245 ქულა.

# მზადება წარმატებით მიმდინარეობს

### მოსკოვის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ნოვიკოვის პრეს-კონფერენცია

**23 ნოემბერს** საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გაიმართა პრეს-კონფერენცია, სადაც დამსწრეებს მოსკოვის XXII ოლიმპიადის თამაშებისთვის წარმატებითი სამზადისის შესახებ მოუთხრო „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ნოვიკოვმა. მან აღნიშნა, რომ თამაშებისთვის სამზადისი ჩვენს ქვეყანაში იქცა საერთო სახალხო საქმედ, მასში აქტიურად მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკები, 50-ზე მეტი სამინისტრო და უწყება, მრავალი დაწესებულებისა და მშენებლობის კოლექტივები, შემოქმედებითი მუშაკები, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ოლიმპიადისთვის სამზადისს დიდ დახმარებას და ყოველდღიურ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ტალინის პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

მუშაობა უმრავლეს ოლიმპიურ ობიექტებზე (მათი რაოდენობა უდრის 99-ს, რომელთაგან 76 მოსკოვშია) მიმდინარეობს გრაფიკის გასწრებით. პრაქტიკულად მზადაა წრიული ველოტრასა და მშვილდოსნობის მინდვრები კრილატსკოეში, თავდება ცსკა-ს დახურული მანეჟის მშენებლობა, სადაც ჩატარდება ოლიმპიური შეჯიბრებები ჭიდაობასა და ფარიკაობაში.

ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი 22 სპორტული ნაგებობიდან 16 მწყობრში შევა 1979 წლის ზაფხულში. მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები, რომელშიც მონაწილეობისთვის განზრახულია დაახლოებით 2 ათასი უცხოელი სპორტსმენის მოწვევა. ძიჩურინის პროსპექტის რაიონში მაღალი ტემპებით მიმდინარეობს ოლიმპიური სოფლის მშენებლობა, რომელიც, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ლორდ კილანინის აზრით, საუკეთესო იქნება თამაშების ისტორიაში.

„ოლიმპიადა-80"-ზე აკრედიტებულ კორესპონდენტთა რაოდენობა მიაღწევს 7.400-ს. ახალი ტელევიდეოკომპლექსი უზრუნველყოფს ოლიმპიადის რეპორტაჟების გადაცემას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე 18-20 ფერადი სატელევიზიო და 100 რადიოარხით. სპეციალისტთა გამოანგარიშებით ტელერეპორტაჟებს მოსკოვის თამაშებიდან ნახავს პლანეტის 2 მილიარდი მაცხოვრებელი, რაც საგრძნობლად აღემატება წინა ოლიმპიადების ტელეაუდიტორიას.

ი. ნოვიკოვმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი საქმიანობა წარმოებს ოლიმპიური თამაშების პერიოდში დაახლოებით 600 ათასი საბჭოთა და უცხოელი ტურისტის მიღებისა და მომსახურებისთვის. მოსკოვის სტუმართა დასაბინავებლად თითქმის ორჯერ გაიზრდება სასტუმრო ფონდი, აშენდება ახალი კემპინგები, მოტელები, მოხდება საერთო საცხოვრებელთა რეკონსტრუქცია.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სრული რწმენა გამოთქვა, რომ ყველა ოლიმპიური ობიექტის მშენებლობა და რეკონსტრუქცია დადგენილ ვადებში დამთავრდება.

ტრადიციულ ვადებზე ერთი წლით ადრე დამთავრდა თამაშების სპორტული პროგრამის შედგენა. მის თანახმად მოსკოვში გაითამაშებენ ჯილდოების 203 კომპლექტს სპორტის 21 სახეობაში.

უკვე ახლაა ცნობილი, რომ ოლიმპიურ შეჯიბრებებზე გაიყიდება 5,8 მილიონი ბილეთი, რაც 1,6-ით აღემატება 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადაზე გაყიდულს. ამას გარდა მათი ღირებულება ნაკლები იქნება, ვიდრე წინა თამაშებზე.

დადგინდა ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის მარშრუტი მოსკოვამდე. იგი გაივლის საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და 3 მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის — მოლდავეთის, უკრაინისა და რსფსრ-ს გზებს. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი წინადადება იმის თაობაზე, რომ ოლიმპიური ცეცხლი აინთოს არა მარტო მოსკოვსა და ტალინში, არამედ ლენინგრადში, კიევსა და მინსკში, სადაც გაიმართება საფეხბურთო ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩები.

მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილეებსა და სტუმრებს ელით მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა, რომლის მთავარი მიზანია ჩამოსულთ გააცნოს სსრ კავშირის ხალხთა მრავალფეროვანი მოსახლეობის ხელოვნება და კულტურა.

დასასრულ ი. ნოვიკოვმა აღნიშნა, რომ „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტი სისტემატურად განამტკიცებს საქმიან კონტაქტებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან და სხვა სპორტულ ორგანიზაციებთან, რათა ოლიმპიური თამაშები მოსკოვში იყოს ყველაზე მასობრივი, ყველაზე წარმომადგენლობითი. მან აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებას.

(საქინფორმი).

# სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

## ჯერ გადავჭრით პირველი რიგის ამოცანას

**რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ**

**რესპუბლიკის** პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების შემდეგ კასპის რაიონში უკვე ბევრი რამ გაკეთდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გამოცოცხლების მიზნით.

პირველ რიგში, ეს ეხება სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზაციას: ახლა ჩვენთან სისტემატურად ეწყობა შიდასაკოლექტივო და რაიონული პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სკოლებისა და სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადები, ტურნირები მშდ მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე, შ. იამანიძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ აღორძინდა ჩვენი საამაყო ქართული ჭიდაობა — ზაფხულობით რვა სხვადასხვა სპეციალური პრიზებისთვის ერთმანეთს ებრძვიან ჩვენი ფალავნები, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას რაიონის რვა სოფელში ისმის „საჭიდაოს" ჰანგები...

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს შეჯიბრებები „მამი სათრეგა", „თეთრი ეტლი", „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშება, რეგულარულად ეწყობა „იმედის სტარტები" — მხტომელის, მტყორცნელის, მორბენლის დღეები, საქალაქო ტურნირი მინი-ფეხბურთში. წელს პირველად ჩავატარეთ წვევამდელთა ასპარეზობა მშდ მრავალჭიდში და პიონერული სპარტაკიადა. ამიერიდან ეს ღონისძიებებიც ტრადიციული გახდება.

კომკავშირის რაიკომთან ერთად გადავწყვიტეთ უფრო მეტი ვიზრუნოთ ნორჩების ფიზიკური გაკაჟებისთვის, რისთვისაც საბავშვო ბაღებს შორის გავმართავთ შეჯიბრებებს პატარებისთვის ხელმისაწვდომ სახეობებში.

ჩემპიონატების, პირველობების, ტურნირების სისტემატურად ჩატარებამ განაპირობა კასპის რაიონის ნაკრები გუნდების და სპორტსმენების წარმატებათა ზრდა რესპუბლიკურ პირველობებში. საქართველოს II ახალგაზრდულ თამაშებზე რესპუბლიკის აღმოსავლეთის ზონაში საერთო II გუნდურ ადგილზე გამოვედით. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კასპის 34-მა სპორტსმენმა იმარჯვა სხვადასხვა რანგის რესპუბლიკურ პირველობაში. ამავე პერიოდში საკავშირო ტურნირებში 11 ოქროს, 10 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს რაიონის წარმომადგენლებმა. აქაური ათლეტები სსრ კავშირის ნაკრების სახელით გამოდიოდნენ ჰოლანდიაში, ალჟირში, გდრ-ში, გფრ-ში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ფინეთში, ბულგარეთში, ინგლისში, იაპონიაში, ესპანეთსა და ბრაზილიაში.

რაიონში ყოველწლიურად სრულდება მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმები. წლეულს ერთმა კაცმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, სამმა — სპორტის ოსტატისა, მომზადდა, აგრეთვე, ხუთი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 33 პირველთანრიგოსანი, რაც გეგმიურს საგრძნობლად აღემატება.

კასპის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში გამარჯვებული გამოდის სოციალისტურ შეჯიბრებაში. შარშან ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის იგი საკავშირო სპორტკომიტეტის დიპლომით დაჯილდოვდა...

მალე სტარტს აიღებს საქართველოს VII სპარტაკიადა. ფაქტიურად იგი უკვე დაიწყო — დასასრულს უახლოვდება პირველი ეტაპის (ასპარეზობანი ფიზკულტურულ კოლექტივებში) შეჯიბრებები. წინა, VI სპარტაკიადაში კასპელები IX ადგილით დაკმაყოფილდნენ. ახლა იმისთვის ვიბრძვით, რომ საგაისო სტარტებში გაცილებით უკეთ გამოვიდეთ.

რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციას განზრახული აქვს მომავალ ამ დიდ სპორტულ ფორუმზე რამდენიმე საფეხურით მაღლა აიწიოს, რისთვისაც პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის დახმარებით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩავატარეთ. საშუალო და რვაწლიანი სკოლების წლევანდელ სპარტაკიადაში 30 კოლექტივი მონაწილეობდა. თავიანთი სპარტაკიადები გამართეს „კოლმეურნემ", „სპარტაკმა", „განთიადმა". ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა ძალთა შემოწმებას რაიონული სპარტაკიადისთვის, ხოლო ეს უკანასკნელი საბოლოოდ შეარჩევს ჩვენი ნაკრების შემადგენლობას, რომელმაც საქართველოს VII სპარტაკიადაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ფიზკულტურა და სპორტი ჩვენში გარკვეულ პროგრესს რომ განიცდის, ეს ფაქტია, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ხარვეზებს, რომლებიც ჯერ კიდევ ხელს გვიშლიან რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის უფრო ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვაში, ხარვეზები კი გამოწვეულია მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემებით. ქვემოთ სწორედ მათზე გვექნება ლაპარაკი.

ყველაფრის მიმართ სიყვარული ბავშვებს სკოლაში ულვივდებათ. მათ ფიზკულტურაც სწორედ სკოლიდან უნდა შევაყვაროთ, რომ შემდეგ უფრო გაბედულად შეაღონ მათ დიდი სპორტის კარი. რა მდგომარეობაა ამ მხრივ კასპის რაიონში? არის თუ არა საამისო პირობები?

რაიონის 20 საშუალო და 10 რვაწლიანი სკოლიდან სპორტული დარბაზი მხოლოდ 10 აქვს და ისიც მეტწილად, კლასების სიმრავლის გამო, ფიზაღზრდის გაკვეთილები ერთმანეთს ემთხვევა. მხოლოდ 2 სკოლასთანაა ღია საცურაო აუზი და ისიც უმოქმედოა. არც ერთ სკოლას არ აქვს სარბენი ბილიკები და სასროლეთი. მართალია, ბევრი სასწავლებლის მარტივი ტიპის მოედნები მოასფალტდა, მაგრამ იმდენად უხარისხოდ, რომ ერთი წლის მერე ყველა უვარგისი გახდა. კურიოზული მდგომარეობაა სკოლების სპორტული ფორმა-ინვენტარით მომარაგების საქმეში. თვალსაჩინოების ბაზაში, საიდანაც ეს ინვენტარი გამოგვაქვს, დახლები ხშირად ცარიელია.

რაიონის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლების მეტი წილი 50 წელს გადაცილებულია და ძველი, 30 წლის წინანდელი მეთოდებით მუშაობს, რაც ნაკლებ ნაყოფიერია. ამასთან, მათ უმეტესობას გაკვეთილების შემდეგ საკუთარი სახლებისკენ უფრო მიუწევთ გული, ვიდრე სპორტული ბაზებისკენ. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისთვის განკუთვნილ თანხას კი დაუმსახურებლად იღებენ.

მოსაგვარებელი განსაკუთრებით ბევრია წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ბოლო 5 წლის მანძილზე რაიონში 5 გამსხვილებული საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. ამან რამდენიმე სოფლის ერთ მეურნეობაში გაერთიანება გამოიწვია და, თუ ადრე ყველა სოფელს ფიზკულტურული საქმიანობის ერთი თავკაცი ჰყავდა, ახლა ერთი მეთოდისტი 4-5 სოფელს უნდა გაუძღვეს, მუშაობას ესეც ძალზე აძნელებს. მეთოდისტების უმეტესობას არ გააჩნია სპეციალური ცოდნა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აშკარად არ ჰყოფნით, ან არა აქვთ სპორტული ბაზები, ფორმა, ინვენტარი.

ცნობილია, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე ორგანიზაციებში დიდადაა დამოკიდებული დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ქმედითუნარიანობაზე. ჩვენი რაიონის საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი, სამწუხაროდ, არავითარ დაინტერესებას არ იჩენს თუ როგორ გამოდიან მათი ფიზკულტურელები რაიონულ, რესპუბლიკურ, საკავშირო პირველობებში, არ ზრუნავენ მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაშლისთვის. ამ მიზეზის გამო ხშირია მეთოდისტების დენადობა. არა და, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ხელმძღვანელები საასპარეზოდ მიმავალ სპორტსმენებს გაესაუბრებიან, თბილ სიტყვას ეტყვიან, იმედს მისცემენ. მორალურ მხარდაჭერას ხომ ძალიან დიდი როლი ეკისრება სპორტსმენის წარმატებაში. ასეთ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რომ ფიზკულტურა და სპორტი შრომის ნაყოფიერების ზრდის უტყუარი საშუალებაცაა. გარდა ამისა, იმ ორგანიზაციებში, სადაც ფიზკულტურელები ხელმძღვანელთა ზრუნვას გრძნობენ, ამ ზრუნვის პასუხად გაორკეცებული ენერგიით შრომობენ.

რაიონი ჯერ კიდევ მწვავედ განიცდის სპორტული ბაზების ნაკლებობას. უკვე 3 წელიწადია, რაც ჩვენი მოჭიდავეები იწრთობიან ისეთ დარბაზში, სადაც არ არის გათბობა, გასახდელები, საშხაპეები, სარბიელზე წვიმა ჩამოდის. გვაკლია სხვა ბაზებიც.

რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს [illegible] ჩვენს ქალაქში შენდება [illegible], მაგრამ [illegible] საქმე ძალიან გაჭიანურდა. ჩვენში განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია მძლეოსნობა. არც ერთ სტადიონზე არ გაგვაჩნია სარბენი ბილიკები, სატყორცნი სექტორები. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ქარხნებს არა აქვთ თუნდაც ერთი მცირე ზომის დარბაზი. ერთი გაპარტახებული მოედნის ამარაა ცემენტის ქარხანა, ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" ღია მოედნები მოუვლელია. სპორტული ბაზების გარეშე [illegible] ისეთი დიდი სოფელი, როგორიც კავთისხევია. რამდენიმე წლის წინ მეტეხში ფეხბურთის მოედნისთვის გამოყოფილი ადგილი ახლაც აუთვისებელია. თქმის საბჭოთა მეურნეობის დირექციას კი ეს ამბავი, როგორც ჩანს, არც კი ადარდებს.

სპორტული ბაზები მოუვლელია ოკამში, ალაიანში, კოდისწყაროში, ყარალაჯში, ახალქალაქში. ბაზების ნაკლებობას განსაკუთრებით განიცდის ქეჩეროხისა და ვარჯაანის დასახლებები. მრავალგზის დაპირების მიუხედავად, საქალაქო საბჭომ დღემდე ვერ მოახერხა თუნდაც თითო მარტივი ტიპის მოედნის მოწყობა. რაიონში აქამდე დადებითად ვერ გადაიჭრა საცურაო აუზისა და სასროლეთის აგების საკითხი.

როგორც ხედავთ, კასპში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, მაგრამ ვფიქრობთ, პირველ რიგში მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის, რაც გაგვაჩნია, რათა გადავჭრათ მთავარი სადღეისო ამოცანა — კარგად გამოვიდეთ საქართველოს სსრ VII სპარტაკიადაში. ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენთან მუშაობა კარგა ხანია გაჩაღდა და შედეგებს მაშინ დავითვლით, როცა რესპუბლიკური სპარტაკიადა შეჯამდება, როცა გაირკვევა თუ რომელმა რაიონმა რამდენი სპორტსმენი მისცა საქართველოს იმ ნაკრებ გუნდებს, რომლებიც გაისად სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში იასპარეზებენ.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით კვლავაც შეუნელებლად ვიბრძოლებთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისთვის, იმისთვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს კასპის რაიონის მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის გაჯანსაღების საქმე.

**ა. ჯალალი,**
**კასპის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

# მათი „იმედის სტარტები"

**დასასრული**

სკოლების სპორტსმენები ცდიან ძალებს.

საინტერესოდ ჩატარდა „მორბენლის დღე", რომლის სტარტზე გამოვიდა 300-მდე მოსწავლე. კარგად იასპარეზეს ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლემ ნინო ჯაფარაშვილმა, ნათელა ნოზაძემ (ხაშურის მე-5 საშუალო სკოლა), დავით ნიკოლაძემ (სურამის 1-ლი საშუალო სკოლა) და სხვებმა.

მხტომელთა ტურნირში გამარჯვება წილად ხვდათ მარიამ გელაშვილს (სურამის 1-ლი სკოლა), ქვიშხეთელ ელენე ლომიძეს, გომელ დავით პაპიაშვილსა და ზურაბ ღამბარაშვილს (სურამის მე-2 სკოლა).

„მტყორცნელის დღეს" გამოირჩეოდნენ ხცისელი ირინე ტარიელაშვილი, მაყვალა ჯობაძე (სურამის მე-2 სკოლა), გომელი ელდარ ხეთაგური და სხვ.

**გ. დოლენჯაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

* * *









**სურათებზე:** 100 მეტრზე ერთმანეთს ეჯიბრებიან ბიჭები; სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ე. ლომიძე ასპარეზობის დროს; ბადროს ტყორცნისთვის ემზადება მ. ჯობაძე; „იმედის სტარტების" ჩემპიონები (მარცხნიდან): ი. ტარიელაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, ზ. გრიგალაშვილი, ნ. ნოზაძე, ე. ხეთაგური.

ავტორის ფოტოები.

# მოსკოვი — XXII თამაშების სარბიელი

**1980 წლის** 19 ივლისს აინთება მოსკოვის ოლიმპიადის ცეცხლი. ეს იქნება რიგით 22-ე 1896 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული. მაგრამ მსოფლიოში ამ უდიდესი შეჯიბრების ისტორია გაცილებით უფრო ადრე დაიწყო...

ანტიკური მითოლოგიის მიხედვით ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი იყო სახელგანთქმული ჰერაკლე. გადმოცემით, შეჯიბრების წესები და რიგი დაადგინეს ლიკურგოს სპარტელმა და იფიტ ელადელმა. ანტიკურ სამყაროში ოლიმპიური თამაშები ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ ჩვენს ერამდე 776 წლიდან (ეს ის დროა, როცა სარწმუნო წყაროებში მოხსენებულია თამაშები) მის მიხედვით მიმდინარეობდა წელთაღრიცხვა. მაგალითად, ჩვენს ერამდე 760 წელი იწოდებოდა მეხუთე ოლიმპიადის პირველ წლად და ა. შ. ჩვენი წელთაღრიცხვით 393 წელს რომის იმპერატორმა თეოდოსიუსმა, რომლის გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა მაშინდელი საბერძნეთი, გააუქმა ოლიმპიური თამაშები, რომელიც მხოლოდ 1503 წლის შემდეგ განაახლა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამაარსებელმა, ფრანგმა მეცნიერმა პიერ დე კუბერტენმა.

## ოლიმპიის წმიდათაწმიდა ტოტი

ძველი ელადის ოლიმპიური თამაშები, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა თანამედროვე ოლიმპიადებისგან წესებით, მონაწილეთა შემადგენლობით და სპორტის სახეობებითაც. როგორც წესი, ოლიმპიური თამაშები იწყებოდა ზაფხულის ბუნიობის შემდეგ მთვარის პირველი გავსებისას, ე. ი. 22 ივნისს და გრძელდებოდა 5 დღეს. თანამედროვე საერთაშორისო თამაშებისგან განსხვავებით, ძველად ოლიმპიადები ყოველთვის ერთ ადგილას — მდინარე ალფეის ნაპირას მდებარე ქალაქ ოლიმპიაში იმართებოდა. ოლიმპიის წმიდათაწმიდა ადგილი — ალტიდა წარმოადგენდა გალავანშემოვლებულ კორომს, სადაც აგებული იყო პორტიკები, ბერძნული სახელმწიფოების შეწირულებათა საგანძურები და ოლიმპიელთა ქანდაკებები. კორომში ხარობდა წმიდათაწმიდა ზეთისხილის — მშვიდობის ხეები. მათ შორის იდგა ღმერთების საკურთხევლები და ტაძრები, რომელთაგან მთავარი იყო ოლიმპიელი ზევსისა, რომელსაც ეძღვნებოდა თამაშები. აქვე იყო მოწყობილი სტადიონი და იპოდრომი.

ოლიმპიადის პირველ დღეს სრულდებოდა მსხვერპლშეწირვა ოლიმპის მბრძანებელ ზევსისადმი, ხოლო მეორე დღეს იწყებოდა ათლეტთა შეჯიბრება. თამაშების მონაწილენი ოლიმპიაში შეჯიბრების დაწყებამდე ერთი თვით ადრე უნდა ჩამოსულიყვნენ და ესწავლათ ოლიმპიური მწვრთნელების ხელმძღვანელობით.

პირველი ოლიმპიელები მხოლოდ სპორტის ერთ სახეობაში — სტადიონის სიგრძეზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ მალე პროგრამაში შეტანილ იქნა დიაული — ორი სტადიონის სიგრძეზე რბენა, ხოლო შემდეგ დოლიქოდრომი — 4714,5 მეტრზე რბენა. ჩვენს ერამდე 70 წელს ოლიმპიურ პროგრამაში გამოჩნდა პენტატლონი — მრავალჭიდი, რომელშიც შედიოდა რბენა, ბადროსა და შუბის ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა და ჭიდაობები. ამავე დროს დამტკიცებული იყო შეჯიბრებები მუშტით ბრძოლაში.

ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს დიდ პატივს სცემდნენ ელადაში. თამაშების ბოლო დღეს მათ ზეთისხილის ხის ტოტებისგან გაქთებული გვირგვინით ამკობდნენ საზეიმოდ. ჩემპიონთა და მათი გამომგზავნი ქალაქების სახელებს საზეიმოდ აცხადებდნენ. ოლიმპიონიკები მთელი ცხოვრების მანძილზე თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო გადასახადებისგან და მათ საპატიო ადგილები ეკავათ სხვადასხვა დღესასწაულებში, ხოლო ოლიმპიური თამაშების სამგზის გამარჯვებული, უფლებამოსილი იყო ოლიმპიაზე დაედგა თავისი ქანდაკება.

ჩვენს დრომდე მოაღწიეს ანტიკური სამყაროს ყველაზე მეტად გამოჩენილ ათლეტთა სახელებმა. 12-ჯერ შეამკეს გვირგვინით ლეონიდ როდოსელი. 8-ჯერ მოიპოვა გამარჯვება კროტონელმა ასტილოსმა. ექვსჯერ იზეიმა ჩემპიონობა იმ დროის უძლიერესმა მოჭიდავემ მილონმა. ერთხელ მან თავისუფლად აიტაცა ხარი, მოიგდო კისერზე და ასე შემოირბინა სტადიონი.

ქალებს, ნაყოფიერების ქალღმერთ დემეტრას ქურუმების გარდა, თამაშებზე დასწრება ეკრძალებოდათ, ამ წესის დამრღვევთ სიკვდილით სჯიდნენ. თუმცა მათ შეეძლოთ დოლში გამოეყვანათ თავიანთი ცხენები. მაშინდელი წესის მიხედვით, ჩემპიონად აცხადებდნენ ცხენების პატრონს, მიუხედავად იმისა თუ ვინ მართავდა ამ ცხენებს.

ქალებისთვის აწყობდნენ განსაკუთრებულ თამაშებს, რომლებსაც, გადმოცემით საფუძველი ჩაუყარა ჰიპოდამიამ — ოლიმპიური მიწის მფლობელის ენომაის ქალიშვილმა. ეს თამაშები ერთადერთი შეჯიბრებისგან — 160,22 მეტრზე რბენისგან შედგებოდა.

ოლიმპიის ტერიტორია ხელშეუხებლად ითვლებოდა ომის დროსაც კი. ოლიმპიური იდეა ნიშნავდა ბერძნულ ტომებს შორის მშვიდობასა და ერთიანობას. თამაშების ჩატარების დროს მყარდებოდა ოლიმპიური მშვიდობა — ექეხეირია, წყდებოდა ყოველგვარი უთანხმოება და მტრული მოქმედება, შეჯიბრების მონაწილეებს და მაყურებლებს შეეძლოთ უვნებლად გაევლოთ მტრის ტერიტორიაზეც: ასეთი ზავი გრძელდებოდა სამი თვის განმავლობაში — ეს დრო აუცილებელი იყო, რათა სპორტსმენებს მიეღწიათ ოლიმპიამდე, მონაწილეობა მიეღოთ ვარჯიშსა და შეჯიბრებაში და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

თამაშების დროს ოლიმპია იყო არა მარტო სპორტული, არამედ საბერძნეთის კულტურული ცენტრი. ოლიმპიური დღესასწაულები ბრწყინვალე საბაბს აძლევდნენ პოეტებს, ფილოსოფოსებს, ორატორებს და მუსიკოსებს წარმოედგინათ თავიანთი ხელოვნება. აქ გამოდიოდნენ ანტიკური კულტურის სახელგანთქმული წარმომადგენლები — ჰეროდოტე, ლისიასი, დემოსთენე, დიოგენე. „კულტურის ოლიმპიადის“ გამარჯვებულებს (ისევე როგორც ოლიმპიურის) ზეთისხილის რტოების გვირგვინით ამკობდნენ.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა აღედგინა ეს უძველესი ტრადიციები 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში. შეჯიბრება ტარდებოდა ხელოვნების ხუთ დარგში — არქიტექტურაში, ფერწერაში, მუსიკაში, ლიტერატურასა და ქანდაკებაში, მაგრამ მათდამი მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ და 1948 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ხელოვნების კონკურსმა არსებობა შეწყვიტა. თუმცა ამ ჩვეულებას წარმატებით აგრძელებენ ყველა მომდევნო ოლიმპიადების ფართო კულტურული პროგრამები. მაგრამ მთავარი რამაც ანტიკური ოლიმპიიდან ჩვენამდე მოაღწია, ეს არის მშვიდობისა და მეგობრობის იდეები. შემთხვევითი კი არ არის, რომ მშვიდობის სიმბოლოა ზეთისხილის ტოტი. თანამედროვე და უძველესი ოლიმპიადების კავშირის მკაფიოდ გამოხატვის მიზნით ოლიმპიადის დედაქალაქში ჩამოაქვთ ოლიმპზე ანთებული ჩირაღდანი. (საქდესი).

## დაწყებამდე — 600 დღე

**დრო** სწრაფად მიჰქრის. თითქოს სულ ახლახან ვლაპარაკობდით, რომ „ოლიმპიადა-80“-მდე დარჩა სამი წელი... შემდეგ ორი წელი... ახლა უკვე, თუ დღეიდან ვიანგარიშებთ, თამაშების დაწყებამდე 601 დღეა დარჩენილი. ასე რომ, უკვე მალე...

აი, რატომაა რომ მოსკოვში, ტალინში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა. უკვე შემუშავებული და გამოცხადებულია თამაშების კალენდარი საათების მიხედვით. შერჩეულია სპორტული ინვენტარი და მოწყობილობა ოლიმპიელთა შეჯიბრებებისთვის. მოწონებულია ოლიმპიაში ანთებული ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის მარშრუტის პროექტი. ჩირაღდანს მოსკოვში მორბენლები ჩამოიტანენ. ესტაფეტა გაივლის საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის გზებზე. ჩირაღდანს საზეიმოდ შეხვდებიან მოსკოვში და 19 ივლისს — თამაშების გახსნის დღეს — იგი აინთება ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. მომდევნო დღეს, 20 ივლისს, ჩირაღდანი აინთება ტალინში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში. როგორც ცნობილია, ესტონეთის დედაქალაქში გაიმართება აფროსანთა შეჯიბრება, ხოლო ლენინგრადში, კიევსა და მინსკში — ოლიმპიური ფინალური ტურნირის წინასწარი თამაშები ფეხბურთში.

ყველა რესპუბლიკის საწარმოებში მზადდება „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის სხვადასხვა შეკვეთა. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოაქვთ მოსკოვში ოლიმპიურნიშნიანი სხვადასხვა სახის ტვირთი.

ოლიმპიადისთვის ემზადებიან ცნობილი სპორტსმენები, ნაკრები გუნდების კანდიდატებად უკვე დასახელებული და „რიგითი“ ფიზკულტურელები, რომლებიც მთელს ქვეყანაში ატარებენ მასობრივ შეჯიბრებებს უკვე ცნობილი ლოზუნგით — „ოლიმპიადა არა მარტო ოლიმპიელებისთვის“. ფიზკულტურული კოლექტივები თავიანთ სპარტაკიადებს, სპორტული ბაზების მშენებლობასა და მთელ რიგ სხვა ღონისძიებას „ოლიმპიადა-80“-ს უძღვნიან. (საქდესი).

## ფართო დაინტერესება

**ჰელსინკი.** ფინეთში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობას.

ჰელსინკში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ფინეთის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებმა დამსწრეთ გაუზიარეს მოსკოვსა და ტალინში მოგზაურობის შთაბეჭდილებები ოლიმპიადისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

როგორც გაზეთი „კანსან უუტისეტი“ წერს, ფინეთის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის აზრით, 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება წარმატებით მიმდინარეობს.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პ. პალოჰეიმომ აღნიშნა, რომ მოსკოვი ოლიმპიადის მომზადებაში მნიშვნელოვნად უსწრებს მონრეალს. მან ხაზი გაუსვა, — წერს „კანსან უუტისეტი“, — რომ ფინეთი და მისი ოლიმპიური კომიტეტი მიისწრაფვიან ყველაფერი გააკეთონ, რათა ხელი შეუწყონ მოსკოვში ოლიმპიური თამაშების წარმატებით ჩატარებას.

ფინეთის მუშათა სპორტული კავშირის გენერალურმა მდივანმა ო. შემანმა, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციასთან ერთად, თქვა, რომ ფინეთი — საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის წევრი — ვალდებულია გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება ოლიმპიური იდეების რაც შეიძლება სრულად განხორციელებისთვის. მან სთქვა, რომ ფინეთმა ყოველგვარ სიტუაციაში და ყველა დონეზე საკადრისი პასუხი უნდა გასცეს მოსკოვის ოლიმპიადის საწინააღმდეგოდ მიმართულ გამოსვლებს და მოქმედებებს.

ოლიმპიადის მიმართ დიდ დაინტერესებას იჩენენ ფინეთის ტურისტული ბიუროები.

„კანსან უუტისეტი“ წერს, რომ ჯერჯერობით არ არის მიღწეული საბოლოო მოლაპარაკება იმაზე, თუ რამდენი ფინელი ტურისტი შეძლებს 1980 წლის ოლიმპიადაზე მოსკოვსა და ტალინში ჩასვლას. ერთი კი ცხადია, რომ საბჭოთა მხრიდან შემოთავაზებული ტურისტებისა და ბილეთების რაოდენობის ციფრი ბევრად აჭარბებს წინა ოლიმპიადების მაჩვენებლებს. (საქდესი).



## გამარჯვება მოულოდნელი იქნება

**პარიზი.** „ჩემი აზრით „ოლიმპიადა-80-ში“ თავს ისახელებენ ის სპორტსმენები, რომლებიც ახლა მხოლოდ „პერსპექტიულებად“ ითვლებიან. დიახ, სწორედ ისინი გააკეთებენ საჭირო მომენტში სარეკორდო „ნახტომს“ მედლებისკენ“. — სპორტულ გაზეთ „ეკიპის“ (საფრანგეთი) კორესპონდენტთან საუბარში თქვა მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჯიმ მონტგომერმა (აშშ).

1973 წლის მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალი სტილით 100 და 200 მეტრზე ცურვაში მონტგომერი, რომელიც 100-მეტრიან დისტანციაზე პირველი გამოვიდა 50-წამიანი ზღვარიდან (49,99) „ოლიმპიადა-80-ში“ არ იასპარეზებს. მან გადაწყვიტა დაამთავროს თავისი სპორტული კარიერა.

— მე უკვე 23 წლის ვარ, ვამთავრებ ინდიანის უნივერსიტეტს და მუშაობა უნდა დავიწყო. რა თქმა უნდა, აშშ-ში არც ისე იოლია ხეირიანი სამუშაოს შოვნა. მოცურავეთა ჩემპიონები ჩვენთან არც ისე ცნობილი პიროვნებები არიან და ამიტომ შეღავათის იმედი არა მაქვს.

— არის თუ არა რაიმე ახალი ამერიკელ მოცურავეთა ვარჯიშში?

— ისინი უფრო მეტად აუზს გარეთ, ძალოსნების მსგავსად, კუნთების გამაგრებაზე ვარჯიშობენ. ბევრს დარბიან ფეხის კუნთების განსავითარებლად. პირადად მე კვირაში სამჯერ 4-5 კილომეტრს დავრბოდი.

— რითი აიხსნება აშშ-ში ქალთა ცურვის პროგრესი?

— წლევანდლამდე ჩვენში მხოლოდ მოცურავე ვაჟებზე იყო გამახვილებული ყურადღება. ამჟამად დამოკიდებულება შეიცვალა. კომპანიებმა და სავაჭრო ფირმებმა მოცურავე ქალთა კლუბებისათვის უფრო მეტი სახსრების გამოყოფა დაიწყეს.

— თქვენ გჯერათ პროფესიული ცურვის მომავალი?

— არავითარ შემთხვევაში!

(საქდესი.).



კრილატსკოეში შენდება არაჩვეულებრივი კონსტრუქციის ყველაზე თანამედროვეველოდრომი, რომლის 333-მეტრიან სწრაფსავალ ბილიკზე „ოლიმპიადა-80“-ში იასპარეზებენ მსოფლიოს უძლიერესი ველომრბოლელები. ველოდრომის ტრიბუნები 6 ათას მაყურებელს დაიტევს.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მშენებარე ველოდრომის ხედები.

საქდესის ფოტო.





## ასოცი ფალავნის მონაწილეობით

გუშინ თბილისში, ფალავანთა კლუბში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვის 120 მოჭიდავე მონაწილეობდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. კუხნიკოვმა (რიაზანი, 48 კგ), ვ. მერაშკოვმა (ყაზახეთი, 52), ხ. კაასიკმა (ესტონეთი, 57), ი. ჯულელმა (საქართველო, 62), ა. დუშანბიევმა (ყაზახეთი, 68), თ. წინწალაშვილმა (საქართველო, 74), ა. ავულომა (ყაზახეთი, 82), ვ. რაზარენკოვმა (ყაზახეთი, 90), ვ. დოლუზაშვილმა (საქართველო, 100), ა. ჩერკესოვმა (ბელორუსია, 100 კგ-ზე ზევით).

სურათებზე: მარცხნივ — წინწალაშვილისა და ულიანოვსკელ ი. კოზულიას ორთაბრძოლის მომენტი; რამდენიმე წამიც და თბილისელი ჯ. მახარაძე ხალიჩაზე გააკრავს მეტოქეს — ალმაათელ ა. ავულოვს.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

### ჭიდაობა

## ასპარეზობენ ჭაბუკები

 გროდნოში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. საასპარეზოდ გამოვიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 150-მდე მოჭიდავე. აღსანიშნავია, რომ კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ ქალაქ ბელოსტოკის (პოლონეთი) სპორტსმენები. პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ხ. ოჰანესიანი (სომხეთი), ბ. შვარიოვი (რსფსრ), ა. დევიატკინი (მოსკოვი), რ. იანკუბაევი, ი. სმერტინი, ი. ივანიუკი (ყველა — რსფსრ), ს. ხურსი (ლენინგრადი), ს. ბოკოვი (უზბეკეთი), ე. კოზლოვსკი (ბელორუსია), ა. ენგოიანი (სომხეთი), ი. ჩერნეცკი (უკრაინა) და ს. კოსელოვი (ლენინგრადი). ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიდან II ადგილზე გავიდნენ გ. აივაზოვი (65 კგ), და გ. მერაბიშვილი (70 კგ), ხოლო III — ვ. ბიბილურიძე (70 კგ), ე. ტუხაშვილი (81 კგ), ა. ნიკურაძე (87 კგ) და რ. ელკანიშვილი (მძიმე).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: რსფსრ, ბელორუსია, საქართველო (მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ჯულუხიძე და სპორტის ოსტატი მ. ჭეიშვილი).

ა. გიგიაძე.

### ლიდერები და აუტსაიდერები

### წყალბურთი

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში გრძელდება საქართველოს წყალბურთელთა ჩემპიონატი.

გასულ ოთხშაბათს ბათუმის „განთიადისა“ და თბილისის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის წყალბურთელთა შეხვედრა, რომელიც გვიან საღამოს გაიმართა, დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 8:6.

გუშინწინ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბმა მწვავე ბრძოლაში სძლია ბათუმის „განთიადს“ — 5:4. ქუთაისელებმა კვლავ 11 ბურთი მიიღეს საკუთარ კარში, ამჯერად უნივერსიტეტელებისაგან, მეტოქის კარი კი მხოლოდ 5-ჯერ აიღეს. პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის გუნდებმა ფრედ — 6:6 დაამთავრეს შეხვედრა.

ამ შეხვედრებით დამთავრდა რესპუბლიკის ჩემპიონატის საშუალედო ფინიში. ყველაზე ცუდად ქუთაისელებს აქვთ საქმე. მათ სამ შეხვედრაში ერთადერთი ქულა მოაგროვეს, ამასთან საკუთარ კარში უკვე გაუშვეს — 27 ბურთი, მეტოქეთა კარში კი ყველაზე ნაკლები — 10 ბურთი გაიტანეს.

ერთი ქულა აქვთ ბათუმელებსაც. მათ მიერ გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება ასე გამოიყურება — 16-19.

რაც შეეხება ლიდერს, სატურნირო ცხრილის სათავეში უკონკურსოდ მოასპარეზე თბილისის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის გუნდია. მომდევნო ადგილებზე არიან უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალბურთელები.

#### გუშინ

გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა: უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლა — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი — 7:4, უნივერსიტეტი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 10:10. ბათუმელ და ქუთაისელ თანაკლუბელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა აჭარელთა გამარჯვებით — 7:6.

* * *

სურათზე: ბათუმის „განთიადისა“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ე. ხუცურაულის ფოტო.



### უეფა-ს თასზე

განვლილ ოთხშაბათს შედგა უეფა-ს თასის მერვედფინალის პირველი მატჩები ფეხბურთში.

აღსანიშნავია რამდენიმე მოულოდნელი შედეგი. დასავლეთ გერმანიის „ჰერტამ“ დანიაში მარცხი განიცადა ადგილობრივ „ესბიერგთან“ შეხვედრაში — 1:2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტმა“ თავის მინდორზე მოუგო ჩეხოსლოვაკიის „დუკლას“ — 4:1.

ამ ეტაპის სხვა მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ჰონვედი“ (უნგრეთი) — „აიაქსი“ (ჰოლანდია) 4:1, „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „არსენალი“ (ინგლისი) 1:0, „სტრასბურგი“ (საფრანგეთი — „დუისბურგი“ (გფრ) 0:0, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ) — „შლიონსკი“ (პოლონეთი) 1:1, „ვალენსია“ (ესპანეთი) — „ვეს ბრომვიჩ ალბიონი“ (ინგლისი) 1:1. ძლიერი ნისლის გამო გადაიდო იტალიის „მილანისა“ და ინგლისის „მანჩესტერ სიტის“ თამაში.

განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 6 დეკემბერს.

### III ტურის 2 შეხვედრა

გუშინ[illegible] ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო ასპარეზობა ყოველკვირეული „ფეხბოლ-ხოკეის“ პრიზზე[illegible]

ალმა-ატის ჯგუფში გაიმართა III ტურის [illegible] მოლდავეთი — უკრაინა (0:1), ესტონეთი — თურქმენეთი (0:0). ამ დღეს ჩვენი ფეხბურთელები ისვენებდნენ.

### „ზენიტი“ მაროკოში

ლენინგრადის ფეხბურთელები ამხანაგურ მატჩებს ატარებენ მაროკოში. მათ ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ქალაქ უჯდას კლუბი მსო.

### დასკვნითი მატჩი

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა დაამთავრეს ტურნე დიდ ბრიტანეთში. მათ ბოლო მატჩი წააგეს შოტლანდიის ქალაქ აბერდინში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 0:1.

დინამოელებმა მანამდე, ფრედ ითამაშეს „ბრისტოლთან“ (ინგლისი) — 0:0, დაამარცხეს „ჩელსი“ (ინგლისი) — 2:1 და „ლინსფილდი“ (ჩრ. ირლანდია) — 4:0.

### ფეხბურთი

### ჩოგბურთი

### ერევნის კორტებზე

ერევანში გამართულ ჭაბუკ ჩოგბურთელთა ტრადიციულ ღია პირველობაში, რომელიც სამამულო ომის გმირის, სურენ ათანესიანის ხსოვნას ეძღვნება, ჩვენი ქვეყნის 22 ქალაქის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას სამი გუნდი იცავდა — თბილისის განათლების განყოფილება, „ბურევესტნიკი“ და „განთიადი“. უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ვ. ხურდა (თბილისის განათლების განყოფილება), მან ჯერ ერთეულთა შეხვედრებში იმარჯვა, შემდეგ კი ჭაბუკთა წყვილებში გ. ელერდაშვილთან („ბურევესტნიკი“) და შერეულ წყვილებში თავის თანაგუნდელ ნ. სვანიძესთან ერთად. გ. ელერდაშვილმა ორი მეორე ადგილი დაიკავა — ერთეულთა და შერეული წყვილების შეჯიბრებაში.

გოგონათა წყვილებში პირველობა არავის დაუთმეს თბილისის განათლების განყოფილების სპორტსმენებმა ნ. სვანიძემ და ლ. კანდელაკმა, ხოლო ჭაბუკთა წყვილებში III საპრიზო ადგილზე გავიდა დ. ვეზირაშვილის და ვ. მეტრეველის დუეტი (ორივე — „განთიადი“).

ქების ღირსია ათი წლის ჩოგბურთელი კ. ბაღდასაროვი („ბურევესტნიკი“). მან პირველად მიიღო მონაწილეობა ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში, 32 მონაწილეს შორის VII ადგილი დაიკავა და სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმეს მასპინძლებმა, თბილისის განათლების განყოფილების ნაკრები II ადგილზე გავიდა.

ვ. ამირიძე.

### რაგბი

საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა კოპენჰაგენში გამართული საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა დანიის გუნდთან — 19:15 (10:8).

## „დინამოს“ ღია ჩემპიონატზე

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ღია პირველობა კალათბურთში.

ტურნირის მეორე დღეს გაიმართა კიდევ სამი მატჩი. მოსკოვის „დინამომ“ ანგარიშით 103:79 (51:32) დაამარცხა ჩელიაბინსკის „დინამო“. მინსკის რტი ხვდებოდა ტალინის „კალევს“. მატჩი დაძაბული გამოდგა, გაიმარჯვეს ბელორუსელმა სტუდენტებმა — 87:85 (44:31). თბილისის დინამოელები, რომელთა რიგებში არ თამაშობენ მიხეილ ქორქია და ნიკოლოზ დერიუგინი, კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად რიგის ვეფ-თან 82:93 (34:39).

#### გუშინ

შედგა III ტურის შეხვედრები. მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელებმა მესამე გამარჯვება იზეიმეს, ამჯერად მათ დაამარცხეს მინსკის რტი-ს კოლექტივი — 94:84 (56:47); ბალტიისპირეთის ორი გუნდის რიგის ვეფ-ისა და ტალინის „კალევის“ პაექრობა დამთავრდა ესტონელთა გამარჯვებით — 94:89 (45:41); თბილისის დინამოელებმა დაამარცხეს თანაკლუბელები ჩელიაბინსკიდან — 83:78 (37:35).

### შარშანდელი ჩემპიონი — ერთპიროვნული ლიდერი

ვილნიუსში მიმდინარე ქალთა საკავშირო ჩემპიონატს ახლა ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს — შარშანდელი ჩემპიონი, მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“, რომელმაც ბოლო ტურში ანგარიშით 107:90 (51:45) დაამარცხა ალმა-ათის „უნივერსიტეტი“. მოსკოვის „დინამომ“ დაძაბულ ბრძოლაში წააგო ლენინგრადის „სპარტაკთან“ — 58:59 (24:29), მეორე დღეს კი სძლია ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ — 74:60 (29:29).

აი დანარჩენი მატჩების შედეგები: რიგის ტტტ — დნეპროპეტროვსკის „სტალი“ — 91:58 (45:25), ლენინგრადის „სპარტაკი“ — ალმა-ათის „უნივერსიტეტი“ — 73:74 (43:39), ცსკა — ნოვოსიბირსკის „დინამო“ — 71:60 (27:31), ვილნიუსის „კიბირკშტისი“ — კიევის „დინამო“ — 76:69 (41:31), კიევის „დინამო“ — დნეპროპეტროვსკის „სტალი“ — 71:56 (39:32), სვერდლოვსკის „ურალმაში“ — ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ 87:69 (46:38), ვილნიუსის „კიბირკშტისი“ — ცსკა — 75:69 (39:38), რიგის ტტტ — ნოვოსიბირსკის „დინამო“ — 100:46 (53:18). ამ უკანასკნელ მატჩში მსოფლიოში ყველაზე მაღალმა კალათბურთელებმა ულიანა სემიონოვამ (210 სმ) რიგელთა გუნდს 28 ქულა შესძინა, ხოლო მეორე გიგანტმა, 19 წლის რიგელმა სტუდენტმა ლია იუდაქმა (204 სმ.) — 16.

### კალათბურთი

### 1000 კილომეტრი... ფეხით

ახალზელანდიელმა სტაიერმა ზიგფრიდ ბაუერმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 1000 კილომეტრი 7 დღეს, 5 საათსა და 24 წუთში გაირა. საერთოდ კი ბაუერი გზაში იყო რვანახევარ დღეს და ამ დროში 1169 კილომეტრი გაიარა. მან სტარტი აიღო ცუგშპიციდან (ალპების ერთ-ერთი მწვერვალი) და ფინიში ჰქონდა კუნძულ სილტზე, ჩრდილოეთის ზღვაზე.

— უკანასკნელი 169 კილომეტრი, — ჟურნალისტებს განუცხადა ბაუერმა — ჩემთვის სასიამოვნო დასვენება იყო.

რედაქტორი ა. გასილაია.

### თბილისის სპორტული კვირა

ფეხბურთი. ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი). დასაწყისი 13 ს. 30 წთ. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. სპორტსკოლა (გლდანი) — განათლების განყოფილება (თბილისი). 16 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93 97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02309